საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში

№12

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N12 ანგარიშის წარდგენა

2024 წლის 9 ივლისს *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია)* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N12 ანგარიში წარადგინა. მონიტორინგი ეხება 2023 წლის 1 იანვარი-31 დეკემბრის პერიოდს. დოკუმენტის მიხედვით:

- **მართლმსაჯულების სისტემის მთავარი გამოწვევა ე.წ. კვლავ □□□□□□□ მმართველობაა** □□ორწლიანი დაგვიანებით, პარლამენტმა არამოსამართლე წევრებად ისეთ კანდიდატებს დაუჭირა მხარი, რომ ამან, პლურალიზმის ნაცვლად, გავლენიანი ჯგუფის გაძლიერებას შეუწყო ხელი. დღემდე სხდომები დებატების და განსხვავებული აზრის გარეშე მიმდინარეობს.

- **ევროკომისიის რეკომენდაციაში საუბარია მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ რეფორმაზე,** თუმცა შემუშავებული ყველა საკანონმდებლო ცვლილება ზედაპირული ხასიათის იყო და სისტემაში არსებული რეალური გამოწვევების მოგვარებას არ ემსახურებოდა.

- სისტემაში არსებული საქმეთა გაჭიანურებისა და მოსამართლეთა ვაკანსიების მაღალი რიცხვის მიუხედავად იუსტიციის საბჭოს 2023 წელს პირველ და მეორე ინსტანციაში კონკურსი არ გამოუცხადებია. სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შედინებაზე, მათ გადანაწილებაზე კოლეგია/პალატებში სრული კონტროლი აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ეს უფლებამოსილება სისტემის გასაკონტროლებლად მთავარი ბერკეტია მის ხელში.

- **კვლავ პრობლემად რჩება საბჭოში ე.წ. თავმჯდომარეების კვოტის არსებობა.** საანგარიშო პერიოდში საბჭოს არჩეული 8 წევრიდან 4 იმავდროულად კოლეგია/პალატის თავმჯდომარეობას ითავსებდა.

- **დღემდე ჭიანურდება დისციპლინური სამართალწარმოება -** საანგარიშო პერიოდში იუსტიციის საბჭომ მხოლოდ 1 სადისციპლინო სხდომა ჩაატარა.

საჩივრების სიმრავლის მიუხედავად, რომელთა უმეტესობაც გაჭიანურებულ მართლმსაჯულებას ეხება, საბჭო არ დგამს ქმედით ნაბიჯებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროში გახანგრძლივების პირობებში ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ეფექტიანი ბერკეტია.

- საანგარიშო პერიოდში **ინფორმაციის საჯაროობის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა** და იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად დახურულ უწყებად გადაიქცა. საიას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, 2023 წელს საჯარო ინფორმაციის მისაღებად გაგზავნილ 8 წერილზე პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საია-ს მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით.